

მეცემსი

ო რ ვ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ა მ ო ვ ი ლ ე ბ ა

წ ა ს ლ ე ბ ა

მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა ზენსიებისა და ერთ დროებით შემწეობისა.
(უმაღლესად დამტკიცდა 1902 წ. 3 ივნისს)

I. საზოგადო დებულება.

1. პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობათა მიღება, ამ წესდების თანახმად, შეუძლიანთ სამსახურიდან წასვლის დროს შტატის მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთ, მათ სიკვდილის შემდეგ კი—მათ ქვრივებსა და ობლებს.

2. არც ერთ მღვდელ-მსახურს და მედავითნეს, თუ შტატის სამსახურში არიან, თუნდაც არა საეპარქიო უწყებაში, არ შეუძლიანთ მიიღონ პენსია, რომელიც დაწესებულია საეპარქიო სამსახურისათვის, გარდა იმ პენსიებისა, რომელსაც მღვდელ-მსახური იღებენ შორეულს ადგილებში სამსახურისათვის განსაკუთრებულ წესების თანახმად.

3. ის მღვდელ მსახური და მედავითნენი, რომელნიც ამ წესდებით შემოღებულ პენსიის გარდა სხვა პენსიასაც დაიმსახურებენ, მიიღებენ იმას, რომელსაც უფრო სასარგებლოდ სცნობენ თავიანთთვის. ამ წესს არ ემორჩილება პენსიები, შორეულ ადგილებში სამსახურისათვის დაწესებული (მუხ. 2), რომელიც შეიძლება დაენიშნოს, ამ პენსიის მიუხედავად, შტატ-გარეშე მყოფ მღვდელ-მსახურთ.

4. პენსიის მიღება არც თავისთვის და არც ოჯახისათვის არ შეუძლიანთ იმ მღვდელ-მსახურს, რომელსაც ღირსებას ახდიან, და მედავითნეს, რომელსაც სამსახურიდან და სასულიერო წოდებიდან დაითხოვეს.

5. მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა ქვრივ-

ობლებს პენსიის მიღება შეუძლიანთ იმ შემთხვევაში, თუ იმათი ქმარი ან მამა: 1) გადაიცვალა სამსახურის დროს ამ წესდების ძალით დადებულ ვადის შესრულებისა და პენსიაზე უფლების მოპოვების შემდეგ და 2) სამსახურიდან გასული იყო და პენსიას იღებდა, ან ჰქონდა იმის მიღების უფლება.


6. პენსიისა და ერთ-დროულ შემწეობის მიღების უფლება აქვთ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეების შვილებს, იმათაც, რომელნიც მამების შტატს გარეშე მყოფობის დროს დაიბადებიან, ამ უფლებას მოკლებულნი არიან: 1) ისინი, რომელთაც 21 წ. შეუსრულდათ, 2) ვაჟება, რომელნიც სამსახურში შევიდნენ ან სახელმწიფო ხარჯით სასწავლებელში სწავლობენ; და 3) გათხოვილი და ის ქალები, რომელნიც სახელმწიფო ხარჯით სასწავლებელში სწავლობენ.

7. სიკვდილამდე პენსია დაენიშნება მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა იმ შვილებს, რომელნიც თუმცა მშობლების სიკვდილის დროს სრულ წლოვანი იყვნენ, მაგრამ სიღარიბეში ჩაცვივდნენ და განუკურნებელ სენით არიან შეპყრობილნი, ან შემდგში ისე დაშვდნენ, რომ ვეღარ ახერხებენ მთავრობის დაუხმარებლად საკუთარის შრომით საზრდოს მოპოვებას.

8. ყოველივე ის, რაც ამ წესდებით წინ დახედული არ არის, გადასწყდება ამ წესდების დადგენილებათა იმ საზოგადო წესდებასთან შეთანხმებით, რომელიც პენსიებს შეეხება (კანონთა კრ. ტ. III გვ. 1896 წ.).

II ვაჟ პენსიების დასახურებას.

9. ის მღვდელ-მსახური და მედავითნენი, რომელნიც 20-დან 30 წლამდე იმსახურებენ, სამსახურ-



რიდან წასვლის დროს მიიღებენ პენსიის ერთ მესამედს, რომელნიც 30-დან 35 წლამდე—პენსიის ორ მესამედს, ხოლო რომელნიც 30 წელსა და მეტს—სრულ პენსიას.

10. ისინი, ვისაც ოც, ოც-და-ათ და ოც-და-თხუთმეტ წლის შესრულებისათვის ექვსი თვე და-აყლდება: მიიღებენ იმ პენსიას, რომელიც ამ ვადე-ბისათვის არის დანიშნული.

11. ისინი, ვინც შტატიდან გადიან სამსახურის დროს ჯანის დაკარგვისა და განუკურნებელ ავად-მყოფობის გამო, მიიღებენ პენსიად: 10 დან 30 წლამდე სამსახურისათვის პენსიის ერთ მესამედს. 20-დან 30 წლამდე—ორ მესამედს და 30 წლის სამსახურისათვის—სრულ პენსიას.

12. ის მღვდელ-მსახურნი და მედავითნენი, რომელნიც ისე ძლიერ არიან დასნეულებულნი, რომ არამც თუ სამსახური არ შეუძლიანთ, არამედ სხვათა მოვლასაც საჭიროებენ, მიიღებენ პენსიად: 5-დან 10 წლამდე სამსახურისათვის—პენსიის ერთ მესამედს, 10-დან 20 წლამდე—ორ მესამედს და 20 წლის სამსახურისათვის—სრულ პენსიას.

შენიშვნა: მე-10 მუხელში დახსენიებული ავადობა არ ექება იმთ, რომელნიც მე-11 და მე-12 მუხლის ძალით ჰქვნიან ოსოვადობენ.

13. ნამდვილ სამსახურად და სპენსიო ვადად მედავითნეს ჩაითვლება დრო 17 წლიდან დაწყებულა.

14. ყოველგვარი სამსახური: სამოქალაქო. სამხედრო და სასულიერო-სამოსწავლო, თუ იგი ხაზინიდან პენსიის მიღების უფლებას იძლევა, საეპარქიო სამსახურში გადასვლის დროს ჩაითვლება იმ ვადაში, რომელიც ამ წესდებით საჭიროა პენსიის მისაღებად; ამასთან თუ წინანდელ სამსახურში პენსიის ვადად 30 წელიწადია, ერთის წლის ნამსახურობა ერთ წლადვე ჩაითვლება, ხოლო თუ ნაკლებია, ამ ნაკლებ ვადის მიხედვით.

15. საეპარქიო სამსახური ითვლება სხვა უწყებებში გადასვლისა და იქ პენსიის მიღების დროს. ამასთან თუ სხვა უწყებებში პენსიის მისაღებ ვადად 30 წელიწადია, საეპარქიო უწყებებში ერთის წლის ნამსახურობა ერთ წლადვე ჩაითვლება, თუ ნაკლებია—ამ ვადის მიხედვით.

16. იმ ნამდვილ სამსახურის დროდან, რომელიც პენსიის მიღებას უფლებას იძლევა, უნდა გამოირიცხოს: ა) ის დრო, რომელიც სამსახურს და

შტატ გარეთ, ან უადგილოდ გაატარა, ბ) ის დრო, რომელიც დასასვენებელ ვადას (отпуск) გადასცა. ასეთ ვადად, რომლის დროსაც ჯამაგირი ეძლევათ, არის ზოგჯერ ოთხი და ზოგჯერ ექვსი თვე. ანგარიში ამის მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; და გ) ის დრო, რომელიც მღვდელ-მსახურმა ან მედავითნემ სამართლის წინაშე პასუხის გებას მოაწოდებ, როგორც ეს საზოგადო სპენსიო წესდებაშია აღნიშნული.

III. პენსიის რაჲდენობა.

17) სრული პენსია დაენიშნება: ა) საკათედრო დეკანოზებს (საკათედრო ეკლესიების წინამძღვრებს)—ხუთასი მან. წელიწადში; ბ) საკათედრო ტაძრების კანდელაკებსა და შტატის დეკანოზებს—ოთხასი მანეთი; გ) შტატ-გარეშე მყოფ დეკანოზებს, ქალაქისა და სოფლის ეკლესიების მღვდლებსა და საკათედრო ტაძრების მთავარ-დიაკონებს—ორასი მანეთი; დ) ქალაქისა და სოფლის ეკლესიების შტატის მთავრებს და საკათედრო ტაძრის იპოდიაკონებს—ორასი მან.; ე) მედავითნეთა ვაკანსიებზე მყოფ მთავრებსა და ქალაქისა და სოფლის ეკლესიების მედავითნეებს—ასი მანეთი.

18. იმ მღვდელ-მსახურთ, რომელნიც ათის წლის განმავლობაში მინც ასრულებდნენ კონსიტორიის წევრისა ან ბიბლიოჩინის თანამდებობას, პენსია ემატებათ და ენიშნებათ ექვსასი მანეთი წელიწადში, შტატიდან წასვლის დროსაც რომ ამ თანამდებობაში იყო მღვდელ-მსახური, მაშინაც ემატება პენსია.

19. ვინც ბოლონდელ თანამდებობას ხუთ წელიწადზე ნაკლებ დროს ასრულებდა, იმას პენსია წინანდელ დაბალ თანამდებობის კვალობაზე ენიშნება.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ექება; ა) იმთ, რომელთაც სამსახურს თავი დაანებეს განუკურნებელ ავადმყოფობას მიზეზით და რომელთაც უფლება აქვთ, მე-12 მუხლის ძალით, შემდგომად ვადით პენსიის მისაღებას და ბ) იმთ ოჯახებს, რომელნიც სამსახურს დროს გარდაიცვალნენ. ასეთ შემთხვევაში პენსია ინიშნება ბოლონდელ თანამდებობის კვალობაზე.

20. გარდაცვალებულ მღვდელ მსახურის ან მედავითნის ქვრიუს ენიშნება ქმრის პენსიის ნახევარი.

21. ქვრიუს, რომელსაც ობლებიცა ჰყავს, ნახევარ პენსიის ემატება მეორე ნახევრის მესამედი

თითო ვაქსა ან ქალზე, ასე რომ ის, ვისაც სამი ან მეტი მიკრო-წლოვანი ბავშვი ჰყავს, იღებს სრულს პენსიას.

22. იმ მიკრო-წლოვან ბავშვებს, რომელთაც მამის გარდაცვალების შემდეგ დედა არ ეყოლებათ, ენიშნებათ თითოა მეოთხედი იმ პენსიასა, რაც მამას ეკუთვნოდა, ასე რომ ოთხი ან მეტი ობოლი სრულ პენსიას მიიღებს.

უენიშვნა: ამავე წესით ენიშნებათ პენსია იმ უფლებად აბაჟებს, რომელთა მამაც პენსია ადამიანს.

23. თუ პენსია, ამ წესდების ძალით, ოცდაათ მანეთზე ნაკლები იქნება წელიწადში (მთელ ოჯახს), პენსიად ინიშნება სრული ოცდაათი მანეთი.

IV. ერთ-დროებითი შემწეობა.

24. ერთ-დროებითი შემწეობა ენიშნება: ა) იმ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთ, რომელნიც 1-დან 5 წლამდე სამსახურის შემდეგ მიძიმე და განუკურნებელ ავადმყოფობის გამო (მე-12 მუხლი) სამსახურს თავს ანებებენ, აგრეთვე იმათ, რომელნიც ჯანს დაპრაგვერდ 5-დან 10 წლამდე სამსახურის შემდეგ და ამ მიზეზით თანამდებობას თავს დაანებებენ; ბ) ოჯახებს (ქვრივებსა და ობლებს) იმ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთ, რომელნიც პენსიასათვის დადებულ ვადამდე გარდაიცვლებიან.

25. იმ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთ, რომელთაც შტატიდან წასვლის დროს უფლება აქვთ, მე-24 მუხლის ძალით, პენსიის მიღებისა, მიეცემათ ერთ-დროებით იმდენი, რაც ერთის წლის პენსიაა. ხოლო იმათ ოჯახებს ერთ-დროებით შემწეობა ეძლევათ სამსახურის წელთა კვალობაზე: ათ წლამდე — ერთის წლის პენსიის ნახევარი, ათ წელს ზევით — ერთის წლის სრული პენსია.

26. იმათ, ვისაც სხვა უწყებისგანა აქვთ პენსია, არა შემთხვევაში არ მიეცემათ ერთ-დროებითი შემწეობა; აგრეთვე იმათ, ვისაც ერთ-დროებითი შემწეობა მიეცემათ, საეპარქიო სამსახურისათვის პენსია აღარ დაენიშნებათ.

27. ერთ-დროებითი შემწეობა ეძლევა მთელ ოჯახს განუყოფელად, და შემწეობა ერთსა და იმავე ოჯახს ორჯელ არ შეიძლება მიეცეს. ამიტომ ერთ-დროებითი შემწეობა არ მიეცემათ ოჯახებს იმ გარდაცვალებულ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა, რომელთაც სამსახურიდან გასვლის დროს მიიღეს შემწეობა, აგრეთვე იმ ქვრივის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ობლებს, რომელთაც (ქვრივმა) წინად მიიღო ერთ-დროებითი შემწეობა.

V. წესი პენსიის და ერთ-დროებითი შემწეობის თხოვნისა, დანიშნისა და მიღებისა.

28. იმათ, ვისაც პენსიის ან ერთ-დროებითი შემწეობის მიღება ჰსურთ, უნდა თხოვნა მიართვან საეპარქიო ეპისკოპოსს.

უენიშვნა. თხოვნება ეტარე-წლავან ობლებსათვის პენსიას ან ერთ-დროებითი შემწეობის დანიშნის შესახებ უნდა შეიტანოს მზრუნველებმა ან ადგილობრივმა ბლადოსიხებმა.

29. მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთ, შტატიდან წასვლის დროს, სამსახურიდან დათხოვნა გაცხადებაში უნდა აღნიშნოს თავიანთი უფლება პენსიის ან შემწეობის მიღებისა. ყოველს შემთხვევაში, პენსიის დანიშნის შესახებ თხოვნის შესატანად ინიშნება სამი თვის ვადა. თუ თხოვნა ამ ვადის გადასცდა, პენსია ენიშნება მოხოველს იმ დღიდან, რა დღესაც იქნება შეტანილი.

30. ვინც ვადას არ გადააცილებს, იმას პენსია დაენიშნება იმ დღიდან, რა დღესაც ჯამაგირი მოესპო, ხოლო ვისაც ჯამაგირი არა ჰქონდა, — იმას დათხოვნის შესახებ ბრძანების მიღების დღიდან.

31. იმათ, ვინც სამსახურიდან დათხოვნის საშუალებაში ყოფნის გამო და შემდეგ ამ ვადაში არ დასაჯეს ისე კი, რომ პენსიის მიღების უფლება არ დაკარგეს, პენსიის მისაღებად თხოვნის შესატანად ვადად ენიშნებათ ექვსი თვე. ეს ვადა ითვლება სამართლო განაჩენის გამოცხადების დღიდან.

32. ქვრივსა და ობლებს პენსია ენიშნებათ ქვრივსა იმ მამის გარდაცვალების დღიდან, თუ თხოვნა პენსიის შესახებ შეტანილი იქნა ამ დღიდან ერთის წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსია თხოვნის შეტანის დღიდან ენიშნებათ.

უენიშვნა. 1. ამ ქვრივებსა და ობლებსათვის, რომელნიც რუსეთს გარეშე სცხვრებენ, თხოვნის შესატანად ვადად ინიშნება ორი წელიწადი.

უენიშვნა 2. ეტარე წლავან უფლებამოს ობლებს შემწეობის პენსიას მიღებაში ისი სიკვდილის დღიდან, თუ როდესაც 16 წლას შესრულდებიან. თვათის არ გადაცდეს მე-32 მუხლში დანიშნულ ვადას თხოვნის შეტანისას.

33. თუ მღვდელ-მსახური ან მედავითნე, რომელმაც პენსია ან შემწეობა მოითხოვა, გადაცივალა იმის მიღებამდე, კუთვნილს ფულს მიიღებს იმისი ოჯახი.

34. თხოვნები პენსიის და შემწეობის შესახებ უნდა განიხილოს საეპარქიო მთავრობამ, რომელმაც, თუ სცნო თხოვნა სამართლიანად, წარდგენილობა უნდა გაუქვანოს ლუწმ. სინოდს თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს ერთის თვის განმავლობაში. 35. წარდგენილობას უნდა თან ახლდეს: სინოდის მიერ დაწესებული ფორმით შედგარი სინო-



ბებისა იმათ შესახებ, ვინც პენსიასა ან შემწეობას თხოულობს და საბუთის ქაღალდები, საიდანაც უნდა სწინდეს, რომ მიზოვნელს პენსიის მიღების უფლება აქვს; სახელდობრ: ა) ნამსახურობის ქაღალდი მიზოვნელისა, თუ პენსიას ან შემწეობას ქვერივობლები-სთვის თხოულობენ, მაშინ, ქმრის ან შამის ნამსახურობის ქაღალდს გარდა, უნდა იყოს მოწმობაც იმის გარდაცვალების და მოწმობა ბავშვების დაბადებისა და მონათვლისა; ბ) თუ თხოულობენ მკორად ან არ სრულ სამსახურის პენსიას, მაშინ საჭიროა მკურნალის მოწმობა, შედგენილი საზოგადო საპენსიო წეს-ლების მე-160 და 161 მუხლების თანხმად (კანონთა კრებულის, ტომი მე-III, გამოც. 1896 წლის, და გ) თუ პენსიას თხოულობს გარდაცვლილ მღვდელ-მსახურისა და მედავითნის შვილი, რომელსაც ავად-მყოფობით შრომა არ შეუძლიან, საჭიროა, მკურნალის მოწმობის გარდა, მოწმობა სრულ სიღარიბის შესახებაც. ასეთი მოწმობა უნდა მისცეს კრებულმა და შეამოწმოს ბლაოჩინმა.

36. პენსიებსა და ერთ-დროებით შემწეობებს პნიშნავს უწმ. სინოდი; ფულის სახელწოდება ხაზინი-დან გადაღების შესახებ უნდა ეცნობოს ფინანსთა მინისტრს.

შენიშნა: ამ შემთხვევაში, რადესაც უმაღლესად სება-როფა სავითო, ან სავსე რამეა, უწმ. სინოდი სებას ადღევს აბერ-პროკურორს, ფინანსთა მინისტრთან შეთან-შეპის შემდეგ, მინისტრთა კომიტეტის საშუალებით სება-როფა ადღვს პენსიის ან ერთ-დროებით შემწეობის დაწინაურების.

37. პენსიებისა და შემწეობათა მიღება შეიძლება იმ წესით, რა წესიც აღნიშნულია პენსიათა საზოგადო წესდებაში (კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამ. 1896 წ.) და ხაზინებისათვის გამ. ინსტრუქციაში.

38. საპენსიო ფული, სრულად არ მიღებული პენსიის გარდაცვალებული პატრონის მიერ, შეიძლება ფინანსთა მინისტრის კასებიდან მიეცეს განსვენებუ-ლის ოჯახს (ქვრივსა და ობლებს), როდესაც იგი ოჯახი წარადგენს მოწმობას პენსიის პატრონის სამ-სახურისა და გარდაცვალების შესახებ.

39. თუ პენსიის პატრონი ორის წლის განმავლობაში არ გამოცხადდა პენსიის მისაღებად ან მოთხოვნისა არ გაგზავნა, პენსია ხარჯიდან ირი-ცხება გამოკვეთვებულად; თუ შემდეგ პატრონმა თხოვა პენსია, იგი მიეცემა იმ დროდან, რა დროსაც თხოვნა შეიტანა.

შენიშნა. შუამდგომლობა, რომელშიაც თხოვნა იქნება კანკაზდ პენსიას მიღების, უნდა წარედგინოს ფინანსთა მინისტრს (საზოგადო საწესდებო, მუ-ხლი მე-220, კახ. კრებული, ტ. მე-III, გამ. 1896 წ.).

VI. პენსიის მოსმობა.

40. პენსია მღვდელ-მსახურსა და მედავითნეს მოესპობა: ა) თუ იგი ხელ-ახლა სავარჯიო ან სხვა

უწყების შტატის სამსახურში შევიდა; ბ) თუ ბერად აღიკვეცა; გ) თუ ღირსება ჩამოერთვა ან სასული-ერო წოდებიდან განიდევნა; დ) თუ სხვა სახელმწი-ფოში რუსეთის მთავრობის ნება-დართოვდალ თანამდებობა ან სამსახური მიიღო და ე) თუ საზღვარ-გარედ ნება-დართულ ვადაზე მეტ ხანს დაჰყო, იმთა გარდა, რომელთაც სამსახურის გამო საზღვარ გარედ უხდებთა ყოფნა ან რომელთაც უმაღლესად ნებ-დართო საზღვარ-გარედ ყოფნის დროსაც მიიღონ პენსია.

41. იმ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეებს, რომელთაც შტატიდან გასვლის შემდეგ პენსია აქვთ, თუ წინანდელ სამსახურის გამო სისხლის სამართალ-ში იქმნენ მიცემულნი, ეძლევათ პენსიის ნახევარი; მეორე ნახევარი საქმის დამთავრების შემდეგ მიე-ცემათ თუ სასამართლომ გაამართლა ან ისეთი სას-ჯელი მიუსაჯა, რომელიც არ წესდების ძალით პენ-სიის მიღებას იმ უსპობს.

42. მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა ქვრი-ვებს პენსია მოესპობათ: ა) თუ გათხოვდნენ; ბ) თუ მონოზნად აღიკვეცნენ; გ) თუ ისეთი სასჯელი მი-ესაჯათ, რომელსაც უფლებებთა ჩამორთმევა ან შეზ-ღულდა მოსდევს და დ) თუ საზღვარ-გარედ ნება-დართულ ვადაზე მეტ ხანს დარჩებიან, იმთა გარდა, რომელთაც ნება დართოთ საზღვარ-გარედ ყოფნის დროსაც მიიღონ პენსია.

43. მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა ობ-ლებს პენსია მოესპობათ: ა) როდესაც 21 წლისა შესრულდებიან; ბ) თუ სასწავლებელში შევიდნენ სახელმწიფო ხარჯით; გ) თუ საზღვარ-გარეთ ნება-დართულ ვადაზე მეტ ხანს დარჩებიან, იმთა გარ-და, რომელთაც უმაღლესად ნება დართოთ საზ-ღვარ-გარეთ ყოფნის დროსაც მიიღონ პენსია; და დ) თუ ისეთი სასჯელი მიესაჯათ, რომელსაც უფ-ლებებთა ჩამორთმევა ან შეზღულდა მოსდევს. ამას გარდა პენსია მოესპობათ: აქვებს მაშინ, როდესაც სახელმწიფო სამსახურში შევიდნენ და ქალებს—რო-დესაც გათხოვდებიან.

44. იმ ობლებს, რომელნიც სასწავლებლებში სწავლობენ სავარჯიო სამღვდლოებისა, დაწესე-ბულებათა და კერძო კაცთა ხარჯით, პენსია არ მოესპობათ, მხოლოდ ფული ობლების ნაცვლად მიეცემა სავარჯიო მთავრობას, რომელმაც იგი უნდა შეიტანოს შეზახველ კასაში და შემდეგ სასწავ-ლებლიდან გამოსვლისას სარგებლით მისცეს პატ-რონს. იმ შემთხვევაში, თუ პენსიის პატრონი მკორე წლოვანია, ფული მიეცემა დედას ან მზრუნველს. თუ მისწავლე, რომელსაც პენსია აქვს, გარდაი-ცვალა სასწავლებელში ყოფნის დროს, ფული გადა-ეცემა დედას ან, თუ იგი მიცვალებულია, სხვა ნა-თესავემ მემკვიდრეობათა შესახებ კანონების თა-ნახმად.

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
ზავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოველით ჩემდა ყოველნი მამუარანი და ტვირთ-მიძინენ და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 12

1883—1902

30 ივნისი

ქართულ საეკლესიო ეკლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.
(დასასრული*)

ჩვენის მხრით ორიოდ სიტყვა უნდა დავსძინოთ ხენებულს საეკლესიო ეკლობის მოკლე მიმოხილვას.

ამ უკანასკნელ ხანაში ჩვენ უნდა აღნიშნოთ ის დიდი განსხვავება, რაც ამ უკანასკნელი საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის შთამომავლობას ემჩნევა. ამ მოვლენის დაწვრილებით მიზეზების გამოარკვევას ჩვენ ვერ გამოვუდგებით, ეს ჩვენ შორს წავიკევანდა; მაგრამ ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ

ბოლო ხანებში უყურადღებობა ემჩნეოდა და ემჩნევა საზოგადოებას საეკლესიო ეკლობის შესახებ —ის არ იყო სრულებით გავრცელებული ამ ბოლო საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში. წინადა საეკლესიო ეკლობის გარეგნული და გავრცელებული იყო საყოველთაოდ ქართველ საზოგადოებაში და მეტადრე თავდა-აზნაურობაში, ეს კოდნა გადადიოდა შთამომავლობიდან შთამომავლობაზე, რომელთა შორის ბევრი სახელ-განთქმულიც შეიქმნებოდა ხოლმე. ხოლო საშუალო კოდნა საეკლესიო ეკლობის შეადგენდა საყოველთაო თვისებას ქართველობისას. მათთვის დიდად სასიამოვნო იყო ერთად შეგროვება და გუნდად ეკლობის თქმა ეკლესიაში დიდსაწაულობაზე. და ხშირად ერთსაც არ სჯერდებოდენ და მრავალ-გუნდოვან ეკლობასაც გააჩნდებდენ ხოლმე ეკლესიაებში. ეს ჩვეულება სია-

*) იხ. „მწყემსი“ № 11. 1902 წ.

მოგვებს გარდა თვითელს მიანდა თავის ზნობრივ მოვალეობის აღსრულებად. ამიარად ეჩვეოდა ყველა და თვის შემდეგ მომავალ თაობას უტოვებდა საშვილიშვილო ანდერძად ამ თვისებას. ამას არ სჭირდებოდა არც არავისი დახმარება და არც ქონებრივი ხარჯი, გარდა ამისა საეკლესიო საგალობლების თქმა შეადგენდა ხოლმე საუკეთესო სიამოვნებას საზოგადო ნაღიმებზე და სუფრაზე. არც ერთი ლხინი და საზოგადო სუფრა არ იქნებოდა ისე გამართული, რომ მრავლად სძლიოს პირები არ ეგალობნათ, რომელთა შინაარსითაც და კილოთიც სტკებობდნენ მსმენელნი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვეულება წარმოადგენდა საყოველთაოდ გავრცელებულს მოვლენას საქართველოს ყველა კუთხეებში. ესლაც ბევრნი არიან მომსწრენი ამ ჩვეულებისა.


მაგრამ განვლო კიდევ ცოტა ხანა და უცებ დაეტყო ამ ჩვეულებას შემცირება და სულ სხვა მოვლენამ იჩინა თავი. თანდათან დაეტყო შემცირება ქართული საეკლესიო გალობის მკოდნეთა რიცხვს, უფრო და უფრო საიშვითო პირებად განდნენ ნამღვილი მისი მკოდნენი, და ბოლოს არა თუ მრავალ-გუნდოვანი გალობა, არამედ ერთი გუნდიც აღარ დარჩა ეკლესიებში საგალობლად და მთელს საქართველოში სანთილი საძებარნი გამხდარან კარგი მკოდნენი საეკლესიო გალობისა. ესლა მხოლოდ რამოდენიმე გვარს-და შერჩენია გალობის კარგი ცოდნა და მათი რიცხვიც მეტად მცირეა.

რამ შეუწყო ხელი ასეთ მსწრაფლ დაცემას ქართული საეკლესიო გალობისას ქართველ საზოგადოებაში—ჩვენ ვიმეორებთ არ შეგვიძლია ამის გამოკვევას შევუდგეთ—მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ეს მოვლენა, როგორც რომ დასანანებელი და მეტად სამწუხარო. რაც საუკუნოებათა განმავლობაში ვითარდებოდა და თანდათანის გაუშჯობესებით სრულ-ყოფისაკენ მიდიოდა მრავალ შთამომავლობათა შრომითა და მცყადინეობით—ის მსწრაფლად მიეცა აღმოფხვრას და შთანთქმას ამ მცირე ხნის განმავლობაში. და ესლა ამის დაბრუნება გვიანდა და ყოვლად შეუძლებელიც. დიად! ადვილი იყო ამ ჩვეულების მოსპობა, მაგრამ ადვილი აღარ არის ამ თვისების საყოველთაოდ გავრცელება და ხელახლად თვითეულ ქართველის აუცილებელ კუთვნილებად გარდაქმნა. სჩანს უნდა ყოფილიყო არსე-

ბითი რამ დაბრკოლება რომლის მეოხებითაც ძალაუნებურად შეეფერხდა საეკლესიო ქართული გალობის გავრცელების საქმე და რამაც ხალხი მიიყვანა სრულ გულ-გრილობამდე ამ საქმეში. მერე ისიც ისეთ საქმეში, რაც კი შეადგენდა მისთვის საუკუნოებით დამკვიდრებულს და საყოველთაოდ გავრცელებულს სულიერს მოთხოვნილებასა და თვისებას.

ქეშარიტად დამაღწებელია და დამაუქრებელი ეს მოვლენა სხვა სამწუხარო მოვლენებთან ერთად, რომელთა რიცხვი არა ერთი და ორია, არამედ მრავალი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში.

დკმ. დ. დამასაიყ.



ზირველი დათვალეირება და რვეისია იძერეთის გზარქიის ეკლესიებისა ყოვლად სამდგელი ლეონიდის მიერ.

წარსულ წელში მათმა მეუფებამ დაათვალეირა სვანეთის, ლეჩხუმის, რაჭის და ქუთაისის მახრბს ოთხი საბლადოჩინო ეკლესიები. ამ წელში მათი მეუფება შეუდგა ეკლესიების დათვალეირებას და რვეისის ქუთაისის მახრის დანარჩენ საბლადოჩინო ოლქებში. 26 მაისს ქუთაისიდან წაბრძანდა მათი მეუფება გამორჩენილების საბლადოჩინოში. 23 ივნისამდე მათმა მეუფებამ დაათვალეირა სამი საბლადოჩინო მახრების ეკლესიები. უკანასკნელ დღეს 23 მაისს—კვირას, მათმა მეუფებამ ინება წირვა სვირის წმ. გიორგის ეკლესიაში ეკლესიის კრებულის თანამწირველობით. სვირის სოფელში ათას კომლამდე ირიცხება გლეხები; ამისათვის წირვაზე დიდი ეკლესია მთლად სავსე იყო ხალხით და ეკლესიის ეზოშიაც მრავალი ხალხი იყო, რადგან ეკლესიაში აღარ ეტყუოდა. წირვაზედ გალობდა კათედრის ტაძრის კრებულთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი და ადგილობითი მცხოვრებთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდიც. ნაწირებს ეკლესიის ეზოში მოაყარა თავი ხალხმა. მათი მეუფება შესდგა ერთ-ერთ საფლავის ლოდზე და მიმართა ხალხს მგრძობიარე სიტყვით. სიტყვაში მათმა მე-

უფებამ გამოსთქვა თავისი დიდი სიხარული იმის გამო, რომ მისს წირვაზე თავი მოიყარა მრავალმა ხალხმა და მასთან ერთად ლოცვა აღავლინა ღვთისადმი. განუმარტა მღაბიური ენით ხალხს მიდრეკილება კაცის ბუნებისა ცოდვისადმი და სხვადასხვა ღონისძიება და საშუალებანი ღმერთთან შესარიგებლად და ცოდვების მისატყვევლად. განუმარტა წირვის მნიშვნელობა როგორც ცოცხალთა, ისე გარდაცვალბებულთათვის. დაუმტკიცა მსმენელთა, თუ რაში მდგომარეობს გარდაცვალბებულთათვის ქეშმარიტი სულის მსახურება და რა შემედარი აზრი აქვს შედგენილი ხალხს უმეტეს ნაწილს ამ სამსახურის შესახებ. ვრცლად განუმარტა ხალხს, რომ კაცა, როგორც სულიერი და ხორციელი არსება, არ კმაყოფილდება მარტო ნივთიერი სიმდიდრით რის გამო ყოველი ქეშმარიტი ქრისტიანი უნდა მეცადინებდეს სულისათვის და ეძიებდეს სასუფეველსა ღვთისასა. მღაბიური სიტყვით განუმარტა ხალხს, თუ რაში მდგომარეობს მოვალეობა ქეშმარიტი ქრისტიანისა და რას უნდა ეძიებდეს თავის სიცოცხლეში. აქ მოაგონა მსმენელთ დღიური სახარების სიტყვები, რომელიც ქეშმარიტს ქრისტიანეს ურჩევს, რომ ბევრს არ უნდა ზრუნავდეს თავისათვის, არამედ ჰსურველად ეძიებდეს სასუფეველსა ღვთისად და ვინ ყოველი, ესე იგი, საზრდო და ქვეყნიური სიმდიდრე თავისით შეგვექმნება. ბოლოს შეავედრა ხალხი ღმერთსა და ითხოვა მისგან, რათა მან მოწყალებინ ღმერთთან აღზნას გულთა შინა მათთა სურველი მუდამ ეკლესიაში სიარულისა სადიდებლად ღვთისა და ცოდვათა მისატყვევლად. ბოლოს აკურთხა სათითო-ყოლოდ ყოველი მოლოცვლი, რომელთა კურთხევა დიდხანს გაგრძელდა. საზოგადოება მღვდელთ-მთავრის წირვით და მისგან წარმოთქმული მოძღვრებით დამტკბარი დაბრუნდა შინ. მათი მეუფებმა სადილობე იყო მიპატივებული ტაძრის წინამძღვრის დეკ. მ. მიხეილ მჭედლიძისაგან სხვა სამღვდლო პირებითურთ. ნასადილევს მათმა მეუფებამ აკურთხა მასპინძელი ოჯახობითურთ, და გაემზავრა შორაპნის საბლაღოშინო მახრისკენ.

ამ საბლაღოშინო ოლქით იწყება შორაპნის მახრა. შორაპნის მახრის სამღვარზე მათ მეუფებს მთევება პოლიციის ბოქაული აზნაური მ. საყვარელიძე მამასახლისით, პირველი ეკლესია, რო-

მელიც შეხვდა მათ მეუფებს დასათვლიერებლად, იყო კვალითი ბარბარა წმიდისა, ეს ეკლესია არის ხისა და ათი წელიწადი იქნება, რაც აშენებულა. ეკლესია ლამაზია. მეორე დღეს—იოანე ნათლის მცემლის დაბადების დღეს უნდა ეკურთხებიათ ახალი ქვიტორის ეკლესია და ამისთვის ღამის თვევი ცისკარი იყო დაწყებული მოსვლისთანავე. ლოცვის გათავების შემდეგ, მათმა მეუფებამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოუთხრა ხალხს იოანე ნათლის-მცემლის დაბადების, აღზრდის და მოღვაწეობის ისტორია. განუმარტა მსმენელთ მისი სამაგალითო აღზრდა და თავდადებული მოღვაწეობა და ბოლოს მისი მოწამებრივი აღსასრული. შეენატრა ყველა მათ, ვინც ჰმადებს მის სიმართლის მოყვარობას და წმიდა ცხოვრებას.

ღამე გაათია მათმა მეუფებამ მღვდლის ბ. გველესიანის ხალხში.

მეორე დღეს, 24 ივნისს, ყოველივე მოზაღებული იყო ახალი ეკლესიის საკურთხებლად. მთელი მრევლი და სხვა მრევლთაგანიც შეიკრიბნენ დილით ადრე. ეკლესიის კურთხევის დღის ცხრა საათზე შეუდგნენ. ეკლესიის კურთხევაში მონაწილეობას იღებდა ბ. დეკ. დ. ლ—ძე, მახრის მეთვალყურე სიმონ მჭედლიძე, მოძღვართ მოძღვარი ბოძანოზ გორგაძე და ადგილობრივი მღვდელი ბ. გველესიანი. ეკლესიის კურთხევაზე გალობდენ გლენთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი და მათი მეუფების მგალობელნი. წირვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ ხალხს მიმართა მეტის მეტი მგრძნობიარე სიტყვით: «მოგილოცაეთ, ძმანო ქრისტიანენო, ბრძანა მათმა მეუფებამ, სული წმიდის დამკვიდრებას თქვენს ახალ ეკლესიაში. ბედნიერი დღესასწაულობაა თქვენთვის დღეს, რადგან აღვიდებან დამკვიდრანა მადლი სულისა წმიდისა თქვენს ახლად აგებულს ეკლესიაში, დღეიდან თქვენი ტაძარი შეიქნა ღვთის სადგომად, მას შინა დამკვიდრებს ანგელოსთა და წმიდათა. დღეიდან თქვენ შეგიძლიათ უხვად მიიღოთ მადლი ღვთისა და სულისა წმიდისა. დღეიდან თქვენ შეგიძლიათ აღავლინოთ ვედრება ღვთისადმი და ითხოვოთ ყოველივე რაც საჭიროა თქვენი სულისა და ხორცისათვის. დარწმუნებულა უნდა იყოს ყოველი თქვენგანი, რომ რასაც ითხოვენ სარწმუნოებით მიიღებენ ღვთისაგან, რაშიდაც ითხოვენ წმიდათა მეოხებენ

ბას და შუამდგომლობას ღვთის წინაშე—მიეცემათ. ღმერთი ისმენს თქვენს ვედრებას ისე, როგორც კეთილი მამა ისმენს თავის შვილის თხოვნასა და ვედრებასა, არც ერთი მშობლის სიყვარული—მიმართული თავისი შვილისადმი არ შეედრება ღვთის სიყვარულს, მიმართულს ჩვენდამო. თუ ჩვენ კი აღვივარებულბთ ჩვენ შვილთა ვედრებას და თხოვნას, რასაკვირველია, ღმერთი უმეტესად მოგვანიჭებს, რასაც ვითხოვთ მისგან. თქვენ ხშირად შენიშნავდით, რომ ზოგიერთი მშობელი, რამდენიც უნდა სთხოვოს თავის შვილმა, ხშირად არ ასრულებს მის თხოვნას. მოხდება ხშირად, რომ ჩვენც არ ავგისრულდება ხოლმე ჩვენი თხოვნა და ვედრება. რისთვის? მისთვის, რომ ჩვენი ღოცვა, ჩვენი ვედრება და ჩვენი სურვილი არ არის თვითონ ჩვენთვის სასარგებლო და ამისათვის ღმერთი არ აღასრულებს მას. ჩვენ ხშირად ვთხოვთ ღმერთს იმას, რაც ჩვენთვის სასარგებლო არ არის, ხშირად ჩვენი თხოვნა იმდენად მოუფიქრებელია, რომ ჩვენვე მოგვიტანს ენებას და დაბრკოლებას ჩვენი სულის ცხოვრების საქმეში“. დაწვლილებით განუმარტა მსმენელთ კემპარტიტი ქრისტიანი კაცის მოვალეობა და ეკლესიის ყოველი დადგენილობის მტკიცედ აღსრულება და მორჩილებით მიღება, სმენა სახარების მკენება-სწავლათა და მიმდევრობა, რაიცა არს კეთილ და სასარგებლო ჩვენი სულისა და ხორცი-სათვის. ბოლოს დაწვლილებით განუმარტა, თუ როგორ უნდა აღსრულებდენ მოვალეობას ღვთისადმი, რომ სათნო ეყონ მას და კაცთაც რომ კეთილად იცხოვრონ ამ ქვეყანაზე, ყოველი სიტყვა-მოძღვრება მათი მეუფებისა, თითოეულ მსმენელის გულს ხედვება და ისე სასოებით და მოწიწებით ისმენდენ, რომ ჩვენის გონებიდან არასოდეს არ ამოიშლებას ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ეკლესიის ეზოში მქადაგებელი მღვდელთ-მთავარი და აუარებელი მსმენელი ხალხი.

სადილად მათი მეუფება მიპატიეებული იყო მრევლთაგან მღვდლის ოჯახში. ნასადილევს, მტორე მოსვენების შემდეგ, მათი მეუფება გამეზავრა კვალთის ქაბუთის წმ. გიორგის ეკლესიაზედ, სადაც მეთოხე საათიდან შეკრებილი იყო ხალხი.

დკ. ღ. ღამ—ქ.

ჩემი თავ-გადასავალი.

(ვაგრძელება *)

ჩემი საწავლებელში მიცემის დროს ყირიმის ომი იყო გაცხარებული. სევსტოპოლი უკვე აიღეს. იანვრის თვეში ხმა გავრცელდა, რომ ომერ-ფაშა მოდის სამეგრელოთი და უთუოდ ქუთაისში შემოვაო. ამ ამბავმა ყველა შეაწუხა. ხშირად ვიტყვდი ჩემს გულში: ამ ოხერმა თათრებმა რაღა ეხლა დაიწყეს ომობა, როცა მე სასწავლებელში მიმცეს მეთქი! მაგრამ იმედი მიანიც არ მქონდა დაკარგული. რუსების ჯარს როგორ აჯობებენ თათრები მეთქი, ვფიქრობდა მე და გულს არ ვიტეხდი.

უცბად გავარდა ხმა: ომერ-ფაშა ცხენის წყალზე მოვიდა და თავს უშველეთ ყველამ, თორემ ამოგწყვეტენო. არ მეგონა კიდევ მართალი, მაგრამ როცა ხატები გაიტანეს ქუთაისის კათედრის ტაძრიდან და წაიღეს სხვა-და-სხვა ადგილას დასამალავად, მაშინ კი დავაწმუნდი. ჩვენც გამოგვიცხადეს: „უშველეთ თავს, წადით შინო“. დაუყარეთ მალე ნივთებს თავი და დამლევ იანვრის თვეს სახიზლარ ამინდში გამოუდევით შინ ქვეითად. ქუთაისიდან ვიარეთ და გზა-მოქცეულში მოვალწიეთ საღამომდის. გზა-მოქცეული მეოთხე ვერსზე არის სიმონეთის ფოსტის სადგურადამ. ჩამოვედით დაბლობ ადგილზე, სადაც ღუქნები იყო, მაგრამ ღუქნებში აღარავინ არ იყო, რადგან სამ ჩარეჭე წყალი და თოვლი იყო მიმდგარი ღუქნებზე. უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა და ისევ ამ უზედურ თოვლ-წყალში ვიარეთ ჩოლაბურის ბორნამდის. ბორანი გაღმა იყო. წყალიც დიდი იყო. უნდა დავხოცილიყავით იმ ღამეს იქ, რომ მენახირებებს არ ევატრონებიათ. ამით საქონელი მოყავდით ჯავახეთიდან ჯარისათვის. წყალს მოესწრო და მრავალი საქონელი დახრიობოდათ. დამღრჩავლი ხარების ტყავები ბევრი ჰქონდათ. ერთ თავ-გადასდილ თავლში ცეცხლი ენთ მათ და იქ შევედით. მე ვიყავი და ერთი ჩემი ახნა-ნაგი, რომელიც დღეს მღვდლად არის დ. გვე—ნი.

*) იხ. „მწეესი“ № 8 1900 წ.



თითო ხარის ტყავი გვათხოვეს და იმაში გავეხვიეთ და გავათიეთ ლამე ასე საცოდავად. დიღას მადლო-ბა გაღაუხადეთ და ბორანისკენ წამოვედით. მოვა-დექით ბორანს. გამოიყვანეს ძლივ-ძლივობით ჩვენ-სკენ ბორანი. მებორმემ თითო კაპეიკი მოვკთხოვა გაღმა გასაყვანი, მაგრამ ჩვენ ფულები სრულებით არ გვექონდა. თითო მქადის მეტი არა გვექონდა რა. ფულის მაგიერ ეს მქადები გამოგვართვეს და ჩვენ კი დავრჩით საცოდავად. ჩოლაბურიდან ზესტაფო-ნამდისინ თორმეტი ვერსი იქნებოდა, მაგრამ რო-გორ შეუძლია კაცს ხორხოულის ტალახი წარმო-იღინოს ვისაც თვლით არ უნახავს და ისიც იანვ-რის და თებერვლის თვეებში? მოვდივართ, მაგრამ მუხლებამდისინ ვეფლობით ტალახში. ამ დროს ორი ცხენოსანი კაცი მოდის, როგორც ეტყობოდა ვაჭ-რები უნდა ყოფილიყვნენ. შევეცოდეთ. ჩვენდა უთხოველად ერთმა ერთი შემოგვიჯიჩნა ცხენს უკან და მეორემ—მეორე და თითქმის ზესტაფონამდისინ ამოგვიყვანეს. მოგვშიდა ძალიან. ცხრა-წყაროში ნათესავი მყავდა და იქით მივაშურეთ. რადგან გზის გაგნება ძნელი იყო, შევეყვით აჯამბურას ღღესს და ამ ღღელის საშუალებით მივაგვინით ეს ნათესავი. აქ მოვსულიერდით. დაგვიწყვა ომის ამბების კითხვა. ჩვენც უთხარიით, რომ ომერ-ფაშა ღღეს უნდა შე-სულიყო ქუთაისში, მაგრამ ხალხი გავიდა სულ ქა-ლაქიდან და იქ აღარავინ დახვდებოდათქო. იმ ღღეს დავრჩით ამ ნათესავისას და მეორე დიღას გავემ-გზავრეთ მშობლებისაკენ. საღამოზედ როგორც იქნა მოვადწიეთ შინ. ჩვენი მისვლა გაესარდათ მშობლებს, მაგრამ ის კი ეწყინათ, რომ უღრბოვ დროს მივე-დით და ისიც გვისაყვედურეს, რომ კაცის ჩასვლას არ დაუცადეთ და წამოსვლა არ შევატყობინეთ. ძლიერ შეწყუხდა მამა, როცა გაიგო, რომ ომერ-ფაშა უთუოდ დაიკავებს იმერეთს და თათრები და-გვიდგება უფროსებათა, ყველანი შევშინდით ოჯახში. ბოლოს ისევ მამამ დაგვიწყო ნუგუმობა: *ჩრას შეშინდით?*—გვეუბნებოდა ის, თათრები მარ-თლა კი არ სკამენ კაცებს. ამბობენ ომერ-ფაშა თათარი კი არა არის—ინგლისელი კაციოა. ქვემო ქვეყანაში ერთი კაციც არ არის, რომ წაერთმიოს რამე ანუ ეწყენინებოთ ვისმესთვის. რასაც მიუ-ტანდნენ თუმცე ერთი ორ ფასს აძლევდნენო. მე სადაც იქნება ერთ ორ ბათმან თაფლს ვიყიდი და ვინც იქნება თათრების უფროსი იმას მივართმევ.

გამოვართმევ ფირმანს და მივაკერებ სახლის კარზე. არავის აღარ შეუძლია ხელი გვახლოს. აბა რას შეში-ნებულხარო?...“ ანნაირად დავიმედდით და აღარც გვეშინოდა შემდეგ. ორი ბათმანი თაფლით თუ შე-იძლებოდა გადაჩენა, რასაკვირველია, კარგი და ადვილიც იყო...

ჩვენ გვითხრეს, რომ ომერ-ფაშას იმერეთის დაქერა სურდაო. ცოტა ხნის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ყარსის ციხე აიღეს რუსეთის ჯარებმაო, ომერ-ფაშა დაამარცხეს, შავი ზღვის პირამდი მის-დიღს და ზღვაში დაიღუპაო. ბოლოს გამოვიდა კი-დეგ ხმა იმპერატორის ნიკოლაოზ ხელმწიფის გარ-დაცვალებახე და ცოტა ხნის შემდეგ, ომიანობაც შეჩერდა. დაწყნარდა ყველაფერი. ბოლოს გავიგეთ, რომ ომერ-ფაშას იმერეთის დაქერა კი არ სურდა თურმე, ის მიდიდა თფილისს, რომ თათრებს მი-შველებოდა ყარსის ციხეში რუსის ჯარების წინა-აღმდეგ, მაგრამ, რომ გაიგო ყარსის ციხე რუსების ჯარმა აიღვეო დაბრუნდა უკან, მისი წინ წამოსე-ლა უშინებენოდა იყო. უკან თერთი დაბრუნებუ-ლიყო, თორმე მის ჯარს წინ ვივრავინ ვერ ხვდე-ბოდა. ომიანობის შეჩერება სუყველაზე მეტად მე მიხაროდა, რადგან ისევ დაბრუნდებოდი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. თვედროობის კვირის-ათვის ვთხოვე მამას გაგზავნა ჩემი ქუთაისში. მამამ ნება არ მომცა და მითხრა: „ჯერეთ საქმე არ და-შოშინებულა; თუ სწავლა დაიწყება, სასწავლებლის მთავრობა თვითონ გვაცნობებს“. მე ვავედი ცალკე ოთახში და კარგა ხანს ვიტრიე, შემდეგ გარდავს-წყვიტე გაბარვა ფარულად. როცა მამა და ძმანები ეკვლესიაზე წავიდენ, ნამალევდ ხუთი მქადი და ჩემი სასწავლო წიგნები ჩავაწყე პარკში (ჩანთაში) ჩამოვიდე მხარზე და მოექუსლე აჭარისკენ. ზოგი-ერთ შინ მყოფმა შემიტყვეს და დამიწყეს ძახლი უკან დაბრუნებისთვის. მაგრამ ტყუილად მიძახოდენ. მე გუნებაში ვამბობდი: დიახ, უკან დაგიბრუნე-ბით ესლა, არ გინდათ, რომ გამგზავნოთ სასწა-ვლებელში სულ, მაგრამ ესლა ვერ დამიშლით და სხვა ამისთანები. აჭარაში, ძირულაზე და ჩხერიმე-ლაზე თითო ხე იყო ხიდად გადებული; იმაზე გა-ვედი დიდს შიშითა და დავადექი ესრედ წოდე-ბულ რუსის შარას. თებერვალია. ცოტა თოვლია აქა-იქ. გამოვისახე პირზე ჯვარი, ვახსენე წმიდა გიორგი და გამოვსწიე ზესტაფონისკენ. საღდათე-

ბისთვის გამხმარი პური მოქონდათ ცხენებით და გზაში თითქმის სულ ამ ჩავლანდრებს ვეხდავდი. ეს ცოტა სანუგეშო იყო ჩემთვის. იმ დღეს ვიარე, ვიარე და ქვაშავაზე ჩამოვედი. ღამე დავდექი ერთ დუქანში. აქ იღვა რამოდენიმე გურულუები. დილაზე ისინი ღამე წავიდნენ ქუთაისში. მეც ვისთხოვე მათ მათთან ერთად წასვლა. „წამოდი, ბავშვო, თუ იღვი ჩვენთანა“, მითხრეს მათ. თითქმის ღამით გადავივარეთ წყალწითელა და მზის ამოსვლისას ქუთაისში შევედი. მე მაშინვე კლასში მივედი. მეგონა შეგირდები შეკრებილი იქნებოდნენ. კლასის ოთახები მიულაკებელი იყო, დაუწმენდელი და სამეცადინო პარტები ერთად შეყრილი იყო. არც ერთი მოსწავლე არ ყოფილა და არც ერთი მასწავლებელი. სკოლიდან დაებრუნდი და ბინაზე მივედი, სადაც ვიდგებოთ წინეთ. ეს ბინა იყო მთავარ-დიაკვნის ბაღ—სა. იმათაც გაუკვირდა, რომ ასე მარტო ჩავვედი ქუთაისში და ხელ-ცარიელი. გავიდა ორი საათი თუ არა ჩემს ბინაზე მოვიდა ჩემი უფროსი ძმა და სახლის პატრონს კითხა ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ:

—ბავშვი გამოგვეპარა, დავედენე ცხენით მაგრამ ვეღარ დავეწიე, აქ ხომ არ ჩამოსულა? სახლის პატრონმა სიცილით უთხრა ჩემი იქ ყოფნა. ჩემი ძმა ძლიერ გულ-მოსული იყო და სახლის პატრონის ნათრით ვეღარაფერი გამიბედა, თორემ ცუდათ მომეპყრობოდა. მთავარ-დიაკონმა ბაღან—ძემ უთხრა:

—რას მოგდის გული კაცო, ბავშვს მაშინ უნდა გაუჯავრდეთ, აქედან რომ გამოიპაროს და შენ იმაზედ უჯავრდები, რომ სახლიდან სასწავლებელში გამოიპარა და გამოიქცა?! ხმა არ ვასცე.

—თქვენ არ იცით რა ამბავია ჩვენს სახლში ეხლა, მიუგო მან? რა იციან თუ ეგ აქ არის. პირველად გვეგონა ქართლისკენ იქნება წავიდაო. ბოლოს იმისი გვეშინოდა ცუდი ხიდებია და წყალში არ გადავადნდესო, საბანი მაგას არ წამოუღია და როგორ უნდა გავითა ღამე ამ სიცივეში და სანამ უკან დაებრუნდებოდე, შეწუხებული იქნებიან ოჯახშიო და სხვა ამისთანები...

მე დავრჩი და ჩემი ძმა დაბრუნდა შინისკენ.

(გაგრძელება იქნება).

შურნალ-გაზეთიშიდან.

„პრაგმატიკულ. ვესტნიკში“ დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი საერო განათლების სამინისტროს მმართველის ზენგერის მიმართ: „გრიგორი ელუარდის ძვე! დაგნიშნეთ რა საერო განათლების სამინისტროს მმართველად, სხვა მიმემ მოვალეობათა შორის დაგვაღელეთ თქვენ შეიმუშაოთ და წარმომიდგინოთ სახელმწიფო საბჭოს საშუალებით საშუალო და უმაღლესის სასწავლებლების შეცვლის პროექტი. თქვენ ამ მონდობილების ასრულების დროს შეგიძლიან ისარგებლოთ ზოგიერთ იმ პროექტებით საშუალო სკოლების შესახებ, რომლებიც თქვენს წინა მოადგილეებს შეუძლებიათ და მე მომიწონებია. ამის გარდა მე საჭიროდ მიმაჩნია მოგცეთ სახელმძღვანელოდ რამდენიმე შენიშვნა. უწინარეს ყოვლისა ჩემი თხოვნაა განათლებასთან ერთად ყმაწვილ თაობას შთაინერგოს სიყვარული და ერთგულება სარწმუნოებისა, სამეფო ტახტისა და სამშობლოსი. ფიზიკურმა აღზრდამ მოზარდნი თაობა უნდა შეაჩვიოს ყმაწვილობიდანვე წესიერებას და დისციპლინას. სკოლა, საიდანაც ყმაწვილები მხოლოდ სწავლას იძენენ და არა აქვთ შეთვისხორცებული სულიერი და ზნეობრივი აღზრდა, არა აქვთ შეთვისებული დისციპლინა და უფროსთა პატივისცემა,—არამც თუ სხარგებლო, ხშირად მავნებელია, რადგან ავრცელებს ყოველ საქმისათვის მანვე თვითნებობას და გაზვიადებულ აზრს თავის თავზე. ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ იზრუნოთ, რომ სატახტო და საგუბერნიო ქალაქებში საშუალო სასწავლებლებთან დაარსდეს აღსაზრდელი პანსიონები, რომელშიაც მიღებულ უნდა იქნან რჩევით საუკეთესო ყმაწვილები და ამასთან არ უნდა მიაკარონ ამათ ისეთი პირობი, რომელნიც მოუშვადებდნენ არიან ჩემ მიერ ნაჩვენებ აზრის განსახორციელებლად. ამასთანავე მე საჭიროდ მიმაჩნია შემუშავდეს პროექტი შესახებ აღზრდელთა და მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობათა გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება სკოლების მოწყობას, მე მესურს, რომ იყოს სამი სახის სკოლა, რომლებშიც სწავლა დამთავრებული უნდა იქმნას, და საშუალო სასწავლებელი უნივერსიტეტში შესასვლელ-

ლად საქირო მოსამზადებელი კურსებით. უნივერ-
სიტეტების შესახებ კი, შემდეგ გავლილ წლების
სამწუხარო მაგალითისა, მე სამოაწავლო ადმინისტრ-
აციისაგან და პროფესორებისაგან ველი, რომ გუ-
ლითადს და წინდახედულს მონაწილეობას მიიღებენ
მით მზრუნველობის ქვეშე მყოფ ახალგაზღობის სა-
კეთილდღეოთ.

უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველს საექვო შემთხ-
ვევაში, ყოველ ბრძოლისა და გატაცების დროს
ახალგაზღობას ნება აქვს მიჰმართოს თავის ხელ-
მძღვანელთ, შეიძინოს გამოცდილება, ზომიერება
რწმენისა და შეგნებისა და აიშაროს ის წუთიერი
მოუფუქებელი გატაცება, რომელზედაც ზოჯჯერ
მთელი სიცოცხლეა დამოკიდებული. ჩემმა მშობ-
ლიურმა გულმა გაიხარა, როცა შეეიტყე, რომ
თვალსაზირა რიცხვი სტუდენტებისა ამ სამოსწავლო
წლის დასასრულს თავის მოვალეობათა შეგნებით
თვითონვე დაუბრუნდნენ სამოსწავლო მეცადინეო-
ბასა და წესიერებას. მე მსურს მრწამდეს, რომ ზაუ-
ხულზე მოსვენებისა და დამშვიდებულ სინიდის
მხილვის შემდეგ, აგრეთვე მშობელთა და მახლო-
ბელთა კეთილ გავლენის ქვეშე, მოსწავლე ახალ-
გაზღობა ყურად იღებს ჩემს ხმას, რომელიც ყველა
ჩემ ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად იწვევს მას
შრომის და სამართლიანობისათვის სამუშაოდ. უწყ-
სოება, რომელმაც შეჰბოლა მეცნიერება და უნი-
ვერსიტეტი, რომლითაც უწინდელს დროში სამარ-
თლიანად ამაყობდა რუსეთი, რომელმაც დაჰლუბა
სამშობლოსა და ჩემის გულისათვის ამდენ ძვირფას
ახალგაზღობათა სიცოცხლე, ღვთის მიერ ჩემდა რწმუ-
ნებულ ხალხის საკეთილდღეოდ დაბოლოვებულ
უნდა იქმნეს“.

ნამდვილზე მისის იმპერატორებისათვის საკუთარის
ხელით აწერია: «ნიკოლოზი».



ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * ივერიაში“ ვკითხულობთ: „როგორც
ნამდვილ წყაროან გადმოგვცეს, სიონის კრებუ-
ლისათვის ექსარხოვის აღექვის განკარგულებით
შენდება ერთი დიდი სამ-სართულიანი სახლი,
რომელშიც მოთავსდება თურმე მთელი კრებული.
აღვიღს სახლისათვის საქართველოს სინოდის კან-
ტორა თურმე უთმობს.

* * * 19 ივნისს, ალავერდის ეპისკოპოსმა დი-
მიტრიმ ჩაიბარა ქართლ-კახეთის სამეღვლეოების
საეკლესიო მუზეუმში მღ. პ. კარბელაშვილისაგან
კომისიის წევრთა დასწრებით. ძვირფასი ნივთი,
შესამოსელნი, გუჯრები უნაკლულად. მხოლოდ
838 ხელნაწერიდან 10 ცალი ხელნაწერი არ აღ-
მოჩნდა მუზეუმში ამ ხანად: ორი ხელნაწერი (სჯუ-
ლის კანონი VI კრებისა) გაგზავნილია ამ ერთის
წლის წინად მოსკოვის აკადემიაში პროფესორის ა.
სპასსკის თხოვნით; ორი ცალი ხელნაწერიც (№ 130
და 131) აქვს ბ-ნს ექვთიმე ს. თაყაიშვილს. დანარ-
ჩენი ექვსი ცალი ხელნაწერიც იმედია აღმოჩნდება
ვისთანვე, რადგან მრავალ პირთ ჰქონიათ წაღებუ-
ლი სხვა-და-სხვა ხელნაწერები შესასწავლად. 20
ივნისს შუადღის 12 საათზედ კრება იყო დანიშ-
ნული კომიტეტის წევრთა მუზეუმის მიღების ოქმის
შესადგენად.

* * * საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავ-
ლებლები 16 ივნისს, დილის მატარებლით გელათს
წავიდნენ მონასტრის დასათვლიეებლად. ცხრა სა-
ათზე ისინი უკვე მონასტრის გალავანში იყვნენ,
და ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისიდან ეტლით მივი-
დნენ მონასტერში საეკლესიო-სამრევლო სკოლათა
უფროსი ზედამხედველი იმპერიაში ბ-ნი ვ. შემია-
კინი, ვოსტორგოვი, ქუთაისის სემინარიის რექტო-
რი, თ. ჯორდანია და მ. კელენჯერიძე.

სტუმრების მოსვლისთანავე წირვა დადგა.
მწირველი იყვნენ: რექტორი, მ. ვოსტორგოვი და
მონასტრის კრებული. ჰგალობდნენ ქართულად და
რუსულად. წირვის შემდეგ სტუმრები შეუღდნენ
მონასტრის და იმის გარშემო მდებარე ეკლესიების

დათვლიერებას და მონასტრის საეკლესიო ისტორიულ ნაშთთა და განძთა დათვლიერებას. განმარტებას აძლევდა ზ-ნი თ. ჟორდანიას. დიდს განცვიფრებაში მოვიდნენ სტუმრები მონასტრის ვეებერთელა ხელთ ნაწერებისა, შესამოსლებისა, მიტრებისა და სხვა სამკაულების ნახვით. ნაშუადღევს ორ საათზე სტუმრები ქუთაისს დაბრუნდნენ და ქალთა სავარჯიშო სასწავლებლის ინსპექტორთან ისაძილეს. ქუთაისში საძილები მრავალ პირთ გაემართათ სტუმრებისათვის... ძლიერ გვიკვირს, რომ თფილისის გაზეთებმა გამოაცხადეს: «ბ. შემოიკინი მოსკლის მეორე დღეს პეტერბურგში დაბრუნდებოა». ნეტავი ვისთვის იყო საქირო ეს ცრუ ამბავი?..

* სასულიერო უწყებას გადაუწყვეტია 1903 წელს დაარსოს 550 ახალი სკოლა სხვა-და-სხვა ტიპისა. ამ ჟამად სინოდის ხელში 17 ათასი ორკლასიანი სკოლაა და 22 ათასი ერთ-კლასიანი და წერა-კითხვისა. გადაწყვეტილია აგრეთვე მრავალსამოსწავლო წლიდან შემოიღონ ყველა სკოლაში ბუნების-მეტყველების სწავლება. ზოგ სკოლებთან გამართული იქნება სამაგალითო ბოსტნები, ბაღები, სკები და სხვა.

* შინაგან საქმეთა სამინისტრო შესდგომია შემუშავებას ახალ დებულებისას იარაღუების შესახებ. ამ დებულებაში მოქცეული იქნა წესები ყოველ იარაღუებისა: ყოველ კვირეულ, ყოველ თვიურ და წლიურისა და სხვა. დღეს ნებართვის აღება იარაღუკის გასამართავად შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, ახალის დებულების გამოცემის შემდეგ კი უშთავრესს იარაღუების გამართვის ნება მინისტრმა უნდა დართოს, დანარჩენებისა—გუბერნატორებმა.

* * * «ცერკოვნი ვედომოსტებში» 22 ივნისს დაბეჭდილია უქვეშევრდოპილესი მოხსენება, რომლითაც უწყ. სინოდი მის უდიდებულესობას გულისთავად მადლობას უხსენებს სამღვდლოებისათვის ახალის წყალობის მინიჭებისათვის, რომლითაც სავარჯიშო მღვდლებსა და მეღვთიანებს ახალის წესდებით პენსია და შემწეობა ენიშნება. ამ მოხსენებაზე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ზედწარწერა: «დარწმუნებული ვარ, რომ სავარჯიშო სამღვდლოება უფრო ძლიერის მხნეობით აღასრულებს თვის მუდმივ მსახურებას ქეშპარტიტალ-ქრისტიანობრივის მიმართულებით».



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამუნებასა და კეთილზნეობაზე.

ს ი ბ შ ვ ა,

თქმულია ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირავისყოფელთა წმიდათასა.

რომელმან არ აღიღოს ჯვარი თვის და შემომიდგეს მე, იგი არ არს ჩემდა ღირს. (მათ. 10, 38).

მაცხოვარი ჩვენს უარსა ჰყოფს, არ მიიღებს, არ შეიწყნარებს და სასტიკად დასჯის იმ პირს, ვინც თვისს ჯვარს არ აღიღებს და არ ზიდავს. ყოველი კაცი მოვალეა იზრდოსო და საზრდო მისცეს როგორც სხეულს, ისე სულსა თვისსაო; ამისთან ტანჯვა-წავლება, გვემა, ცილისწამება და ყოველივე იწროება და საღმობა მოთმინებით უნდა აიტანოსო, გვეუბნება ჩვენ უფალი იესო ქრისტი.

მანო ჩემნო საყვარელნო, ყოველი ჩვენგანს მოვალეა თვისი თავი თვითონ ირჩინოს, სხვის ბარგად არ გახდეს. ღმერთმა როდესაც ადამი დაასახლა სამოთხეში, რომ უსაქმურად, ცუდად არ ყოფილიყო, სავალდებულოდ გაუხანა მას შემეშევაება ამ ბალის. „მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა და დაადგინა იგი სამოთხესა შინა საშველებისასა საქმედ მისსა და ცუდად“, არის ნათქვამი საღმრთო წერილში (დაბ. 2, 15). მაგრამ ეს მოვალეობა გაუათქვედა, როდესაც მიცემული მცენების დარღვევის შემდეგ განდევნილი იქნა ამ სამოთხიდან: სასჯელად მიიღო შანი, რომ „აოფლითა თვისითა ეკამა ჰური თვისი“ (—3, 19). რა ხელობისა და წოდებისაც უნდა იყოს კაცი ვერასოდეს ვერ განითავისუფლებს თავის თავს ამ მოვალეობისაგან და უნდა „დაადგრეს შრომისა



შინა თვისსა“ (ზირაქ. 11, 2). იესო ქრისტე სანამ ცხოვრობდა დედამიწაზე სულ მუშაობდა და ისე ირჩენდა თავს და „ზარამც კაცს უწოდებდა ბოროტსა და მდგარსა, რომელსაც მოვლის ბნელი გარესკნელი“ (მათ. 23, 26, 29): მოციქულებს არასოდეს არ უკადრნიათ მუქთად პურის ქამა. როგორც თვითონ მუშაობდნენ, ისე სხვებს არიგებდნენ, ოფლი ეღვარათ. „არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვსჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და ღღე ვიქმოდეთ, რათა არავის თქვენგანს დაუშქიმოთ; და უკეთო ვინმე არა უნებს საქმის, ნუცა სჭამა“, უწერს ჰაელე მოციქული თესალონიკელებს (2 თესალ. 3, 8, 10). საკმარისი არ არის, რომ მარტო თავი თვისი ირჩინოს კაცმა, ის მოვალეა სხვებსაც შეეწიოს, სხვებსაც არგოს, გაუნაწილოს ნაყოფი თვისი ნაშრომისა, თავდაპირველად რასაკვირველია, ცოლშვილს ნათესავებს და მერმე, თუ ექნება, ყოველ მოყვასს. „ხოლო უკეთო ვინმე თვისთა და უფროისდა სახლელულთა არა მოღვაწე იყოს, სარწმუნოება უარყოფის და არს იგი ურწმუნოსა უჭირვს“, ამბობს იგივე მოციქული (1 ტიმ. 5, 8). „ნუ თავისა ხოლო კაცად კაცადი თქვენი ეძიებენ, არამედ მოყვასისაცა თვითოფული თქვენი“, გვარიგებს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 2, 4).

კაცი შრომას გაუძღვება, არ მოერიდება, ზურგს არ შეაქცევს, გული არ აუტრუფდება, პირიქით ისეთ მოთხოვნილებათ გადაექცევა, რომ როგორც ზარამცს ეზარება საქმის გაკეთება, ისე მუშაკს ცუდად ჯდომა; უსაქმოდ დროს გატარება მას ტანჯავს მეტს მოგვრის. შრომა არაფერია, თუ ნაშრომი ყოფნის კაცს უსაქიროვს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ბევრს ჩვენგანს ან ავადმყოფობისა, ან გაუნათლებლობისა, უცილობისა გამო არ ძალუძთ თვისი შრომითა იშოვნონ, რაც მათთვის საჭიროა. თავს ზეით კაცს ღმერთ არა აქვსო, ნათქვამია. შენ რომ ხუთჯერ მეტი მოსახლეობა ვისმეს, რაც მას შეუძლია, საიდან გიშოვნის? ეს კიდევ არაფერი, მაგრამ კაცის გულს ის უფრო კლავს და ხარშავს, რომ ხშირად ვერ ხედავს ნაყოფს თვისი შრომისას. ვინმე მთელი წლის განმავლობაში ღღე და ღამ ოფლსა ღვრის, თავს არ იზოგავს, ფიქრობს, იმოდენს მოიხვეჭს, რომ სვინდი-

სიერად გამოვა ყველასთან, როგორც ცოლშვილთან, ისე საზოგადოებასთან და მთავრობასთან. მაგრამ ერთბაშად მოვევლინება ისეთი უბედური შემთხვევა, რომელიც ხელს დაბანბნებს მთელი და ხშირად რამოდენიმე წლის ნაწევად ნადავზე. მაგ. გლეხი კაცი, მიწის მუშა ხნავს, სთესს, მთელი ექვსი შვიდი თვე გარს-ველება თავის ნაშრომს, ჰგონია სარჩო მოუვა და ის კი არა, ან დადგება გვალვა და სულ ერთიანად მოტრუსავს ნათესს, ან და მოულოდნელად მოვა სეტყვა, გაჩნდება კალია, თავი და სარჩო-საბადებელზე ხელს აადებინებენ საწყალს. უკანასკნელი გულ-ხელ დაკრფილი, თვალ-ცრემლიანი დღას და არ იცის, როგორ მოიქცეს, საით წავიდეს. ვკპარი კაცი ხშირად დაიწყებს მოქმედებას სულ მცირე თანხით, მაგრამ დაუცხრომელი შრომით და განუწყვეტელი მეცადინეობით, მისვლა-მოსვლით ამ მცირე შეძლებას დიდად ხდის; უხარია, გონია, ეს არის მოისვენებს, მოკლებული კაცი გახდა მტერსაც გაუძღვება და მოყვარესაც. მაგრამ უცებ მის სახლს-საქონელს ცეცხლი უჩნდება და სულ ერთიანად იბუვება. ვინმე შვილსა ზრდის სასწავლებელში, ყოველ დონისძიებას ხმარობს როგორმე დაამთავრებოს სწავლა, ვალსა და ვანხს არ ერიდება იმ იმედით, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ შვილი მხარში ამოუღებება და ცხოვრების ქაპანს გააწევიანებს და რაც დახარჯულია მათზედ, ერთი ათად დაუბრუნდება. მაგრამ საუბედუროდ ეს იმედი უტრუფდება, უცრად უხდება ავად და ამოდენი ხნის ნაამაგარი ხელიდან ეცლება. რა ქნას საწყალმა, ვინ იტიროს, იგლოვოს—შვილი თუ ვალისა და ვანხის გადახდა. კაცი შრომობს, იღვწის, არაფრის მქონე შეძლებულიად ხდება, ფიქრობს: აგერ ცროლს შევირთავ, სახლ-კარს გავიშარავ, მოვეწყობი და კაცი გამოვჩნდები, მეც საზოგადოებაში გავერევიო. მაგრამ საუბედუროდ შეხვედბა მას ისეთი ბედოვლათი, ან უნამუსო მუღლლე, რომელიც ჯვარს აცემებს, ღღე და ღამეს ჩხუბში გაატარებებს, რაც აქვს იმას არ დაჯერდება, მეტს მოინდომებს, ჩაცმა-დახურვაში და დროს გატარებაში მოისურვებს ამ კაცის მონაგების დაფლანგვას. რას იქმს საწყალი, რამდენი მოითმინა, რამდენი იშრომა, იმედოვნებდა ოდესმე ბედი გაუდიმებდა, გემრიელად, ნამუსიანად პურს სჭამდა, და ის კი არა, უარეს



მდგომარეობაში ჩავარდა. კაცი ვისმეს ამხანაგად გაიხდის, მასთან ერთად უნდა ცხოვრების ქაპანი გასწიოს და ამით დამისუბუქოს ტვირთი, მაგრამ საუბერლურად ეს ამხანაგი მას უმტყუნებს, დაღატაკებას დაუწყებს და ხელს ააღებინებს იმაზედაც, რაც ჰქონდა მასთან დაამხანაგებამდისინ- ეჰ! ვინ ჩამოთვლის, რამდენი დაბრკოლება თუ ბოროტ- განზრახველთა, თუ ბუნების მოვლენათა მხრივ ელბება და აფერხებს ადამიანის ნივთიერ წინ- მსვლელობას?

კაცს იმდენი ჯაფა, შრომა თავის თავის და აგრეთვე ცოლ-შვილის სარჩენად არ მოსდის, როგორც სულიერი საზრდოს შოვნისათვის. თუ კაცი მოვალე სახეული თვისი არ მოიძულოს: შიმშილით, წყურვილით და სიცივით არ მოკლას (ევ. 5, 29), მით უმეტესად სულზე უნდა იფიქროს და, თუ სული მოიძულა, ფუჭია, უმიზნა მისი ცხოვრება დედამიწაზე და ის არაფრით არ განიარჩევა ცხოველთაგან. ჩვენ რომ აქაურ ქვეყნიურ ცხოვრებას, დღიური პურის, სარჩოს შოვნას მოვანდომოთ ჩვენნი ტენი და სულზე არა ვიზრუნოთ რა, საუკუნო ტანჯვის მეტი არა მოგვიღის რა. „რომელმან მოიბოგოს სული თვისი წარიწყმილი იგი და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან ჰპოვოს იგი“, ამბობს მაცხოვარი (მათ. 10, 39). ჩვენ რომ დიდი-დიდი ვიცხოვროთ, სამოკ-ოთხმოც წელს ვერ გადავაბიჯებთ და ამ მოკლე დროსათვის რისთვის უნდა შევსწიროთ წენი დაუსრულებელი მერმისი, საუკუნო ცხოვრება? „რა სარგებელ არს კაცისა, ამბობს მაცხოვარი, უტყუო შეიძინოს საფიცი დეი ყოველი და სული თვისი იზღიოს? ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა“, ამბობს იესო ქრისტე (მარკ. 8, 36, 37). ამისათვის უპირველესი ჩვენი მოვალეობა გონებრივი და ზნეობრივი აღზრდაა ჩვენი თავისა. ეს არ უნდა დავივიწყოთ და სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ სულიერი განვითარება წინდია ნივთიერი კეთილდღეობის და წარმატებისა. მეორე შედეგია პირველისა. ამასთან ჩვენ სულიერ განვითარებას საზღვარი არ უნდა ექნეს. „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“, ამბობს მაცხოვარი (მათ. 5, 48). აბა იფიქრეთ, კეთილ-მორწმუნენო მსმენელნო, როდის დადგება ის დრო, რომ კაცი ღმერთსავით ყოვლად მტოდნე და უცო-

დველი იქნეს? არასოდეს. მართლაც რას ვამინვეთ ჩვენ? რამოდენი შრომა და ჯაფა ქირდება კაცს, რომ ცოდნა შეიძინოს? რამდენსაც ბევრს ისწავლის ვინმე, იმდენად თავის თავს უფიცად რაკცხს. ტყუილა კი არა სთქვა ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა: „მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიციო“.

„გული ჩემი მივეც ხედავ სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან იხილა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იჯავნი და ხელოვნებანი, ვიცნე მე რამეთუ ესეც არს აღრჩევა სულისა“ (ეკლ. 1, 17), ამბობს სოლომონ ბრძენი. ყველა ამასა გრძნობს, როდესაც გულმოღვინედ შეუდგება სწავლას, ქეშმარიტების გაგებას. რასაც მეტს შეიტყობს, მით უფრო შორდება და მიუწვდომელი ექვენება იგი. ბევრისაგან ბევრი ხდება მსხვერპლად ამ დაუბოლოებელ და დაუკმაყოფილებელ კვლევადიების. რამდენ საუკუნეს გაუვლია და რამდენი რამ არის კიდევ ჩვენთვის გაუგებარი და აუხსენლი? და რაც ჩვენ ჰქმშირიტ ცოდნათ მიგვანია ვინ იცის ის მომავალმა თაობამ უარპყოს და სულ სხვა დასკვნა გამოიყვანოს? ერთსა და იმავე წერტილზე გაჩერება არ მიზერხდება. სულ წინ უნდა იაროს კაცმა და ამ წინმსვლელობას საზღვარი არასოდეს არ ექნება; შეჩერება ან უკან დატრიალება ჩარხისა დიდ ზარალს მოუტანს როგორც კერძო პირს, ისე მთელ კაცობრიობას. თუ გონებრივ განვითარებას ბევრი ჯაფა და შრომა სჭირდება, არა ნაკლები ღვაწლია საჭირო ზნეობრივ აღზრდისათვის. მართალია „შემქმნილი ვართ და დაბადებულნი ქრისტეს იესოს მიერ საქმეთათვის კეთილთა, რომელთათვის წინასწარ განზადა ღმერთმა, რათა მათ შინა ვიდოდეთ (ევ. 2, 16), მაგრამ ადამ და ევას შეცდომის შემდეგ „ცოდვა სოფლად შემოხდა“ და ყოველი კაცი დაბადებისათანვე ცოდვილი არის: „უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“, ამბობს დავით წინასწარმეტყველი როგორც თავის თავზე, ისე ყოველ კაცზე (ფს. 50, 7). რასაკვირველია ამ მდგომარეობიდან კაცს იხსნის მალღი სულისა წმინდისა წმ. საიდუმლოთა შესრულების დროს, ხოლო მას მოეთხოვება თავისი თავი აღზარდოს და კეთილი მიმართულება დაიმიკვიდროს. ნეტარ არს ის ადამიანი, რომელსაც წილად ხედება დაბადება, აღზრდა და ცხოვრება იწინაირ ოჯახში, წრეში,

სადაც ცუდს მაგალითს იშვითად დანიხავს. მისთვის საძნელო არ იქნება ყმაწვილობიდანვე აღიქურვოს ყოველივე სათნოებითა და ვერავითარი გარემოება ვერ შეარყევს და გზას ვერ გადახვევინებს მას. მაგრამ უმეტესობა ის პირი, რომელიც როგორც დედ-მამა, ისე ნათესავები, ნაცნობები შეხვდებიან გარყვინილი, ზნეობით დაცემულნი; მათი შემხედვარე ისიც ბოროტი და ცუდი ზნის პატრონი გამოვა. ბოლოს, როდესაც გონება გაისხნება, შეიგნებს, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი, მაგრამ იმდენად ექნება გამჯდარი ძვალი და რბილში ცუდი ჩვეულებანი, ცუდი-მაგნე მიმართულება, რომ დიდი, ძლიერ დიდი ჯგუფ და ხასიათის სიმარტვა საქირი, რომ კაცმა უაზოკოს რასაც ყმაწვილობიდანვე შესჩვევია. ბევრჯერ მოხდება, კაცი გრძნობდეს თავის ცუდ მოქმედებას, ქცევას, მაგრამ იმნაირად იყოს შეჩვეული, რომ ვერას გზით ვერ ანებებდეს თავს. ჩვეულება საჯულზე უმეტესად იყოს, ნათქვამია. თუმცა შეიძლება აღთქმაც დასდოს, აღარ აყვეს გულის ვნებათა, მაგრამ დიდხანს ვერ შეინახავს და მალე დაარღვევს. რამდენს უთქვამს მაგ. უზომოთ აღარ დავედგო, ტყუილს აღარ ვილაპარაკებო, ქურდობას თავს დავანებებო, მაგრამ შემთხვევის დროს ეს პირობა მალე დაურღვევია. ხშირად თავის თავის უნებუნად, წინააღმდეგ ჩვენის სურვილისა ისეთ საქმეს ჩავიდნეთ ხოლმე, რომლისაც ვერცხვენია და ყველასათვის სახარალოდ და მანებტელად მიგვჩინა. ანნაირი მდგომარეობა აღამაინსა პაულე მოციქულმა კარგად გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „არ ვიცი რასა ვიქ, რამეთუ მას კი არ ვიქ, რაც მე მნებავს, არამედ რაც მძულს, მასა ვიყვ, რამეთუ არა რომელი იგი მნებავს კეთილი. მას ვიყვ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი მას ვიქ“ (რომ. 7, 15—17). ყოველ ზემონათქვამს უნდა დაუმატოთ საღმობა, გვემა, მწუხარება, შეურაცხყოფა, შური, ცილისწამება და ყოველივე სისამაღლე, რომელთაც ამ ზნე დაცემულ ქვეყანაში კაცი ისე ვერ აშორდება, როგორც რომ სიკვდილს ვერ ასდებდ, რა ხელობისა და წოდებისაც უნდა იყოს იგი.

ვინ იტყვის რაც ზეითა ვსთქვით ადვილი ასარულმებელი იყოს? ვინ იტყვის მსუბუქად საზიდავი იყოს ზემოაღნიშნული ტვირთი—ჯვარი? მაგრამ როდესაც კაცს უჭირს, მიმშველს, დამხმარებელს ეძებს; როდესაც თვისი ძალ-ღონით ვერას გახდება, მიმართავს ვინც მასზე უდიდერია. მაგრამ ვინ არის ყოველთა ვარამთა და ქირთა შემსუბუქებელი, თუ არ ყოვლად შემძლებელი და მოწყალე ღმერთი? „კაცისათვის შეუძლებელი

შესაძლოა ღვთისათვის (ლუკ. 18, 27). კაცს რომ კიდევაც შეეძლოს დახმარება, შემწეობა, მაინც ვანახლება და ხელს აგრე რიგად არ გაუმართავს სხვას. ზეციური მამა კი ყოველივის მხალ არის შეიწყნაროს თხოვნა და თვისი შემწეობა და მოწყალეობა ყველაზე მოიღოს. „ითხოვეთ და გეყოსთ თქვენ, ითხოვით და მოიღოთ; ითხოვით და მოგვეცეს თქვენ; ეძებდით და პპოთ; ირეკდით და განგელოსთ თქვენ“, არა ერთგზის გვეუბნება ჩვენ მაცხოვარი, უფალი ყველას იწვევს, ყოველ ჩვენგანს ეუბნება „პა ესერა ვსდევ კარსა ზედა და ვრეკ, უკეთუ ვინმე ისმაროს ხნის ჩემისა და განალოს კარი, შევიღე მასთანა და ვპსპამო მასთან სერი“ (გამაცხ. 3, 20). მოვედი ჩემდა, გვეუბნება ის, რომელსაც ყოველთა კაცთა მნებავს ცხოვრება და მუცნიერებასა ქემარობასა მოსვლა, ყოველი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განავსვენო თქვენ; უღელი თქვენი ტკბილ და ტვირთი თქვენი მათუქ ვყო“ (მათ. 11, 28, 30). „მე ვარ გზა და მე ვარ ქემარობა და ცხოვრება; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოან. 14, 6).

მაშასადამე მივმართო ძმანო ჩემო საყვარელნო მაცხოვარს, ჩვენ მხსნელს, რომელმაც თვისი ცხოვრებით თვლსაჩინოდ უწვნა ყველას მაგალითი, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ თვისი დანიშნულება ღირსეულად ასარულოს და რაც უნდა გაკირვება მიადგეს, როგორ უნდა დაინთნოს მოვიქცეთ ისე, როგორც იტყვოდნენ წმიდანები, რომელთაც ჩვენ დღეს თაყვანსა ვსცემთ და ვადიდებთ; მივბაძით მათ, რომელთაც გულიდან მუღმივე ვანუშორებლად ქონდათ სიტყვანი და მოქმედებანი უფლოსა ჩვენისა იესო ქრისტისი, ზეციური მოძღვრისა და დამრებელისა. ნუ იფიქრებთ წმიდანები ბუნებით ჩვენგან რითიმე განირჩეოდნენ. სიტყვები დავით წინასწარმეტყველისა „უსჯულოებათა შინა მიუღდა და ცოდვთა შინა მშვა მე დება-მან ჩემმან“, როგორც ჩვენზე ითქმის ისე მათ შესახებ. მაგრამ მათ თვისი მეცადინეობით და ღვთის შემწეობით მაღლიწის დიდებას და დაიდგეს გვირგვინი დაუქნაბელი, რომლისათვისაც ყოველი ჩვენგანი უნდა იღწოდეს. ნუ ჩავარდებით ძმანო ჩემო სასოწარკვეთილებათაში, არამედ აწ უკვე ჩვენცა ესოდენი მაქვს გარემოდგომი ჩვენდა სიმრავლე წმიდათა მოწამეთა, სიმძიმე ყოველი განვიშორით და მოთმინებით ვრბოდეთ წინაგანმზადებულსა მას ჩვენსა ღვაწლსა და ვხედვოდეთ სარწმუნოებისა ჩვენისა წინამძღვარსა და სრულებისა მოქმედსა იესოს (ებრ. 12, 1, 2).

მღ. მარკო ტუმეაძე.



მოდება ხელის-მოწყობა 1902 წლისათვის რე-
კვირულ გამოსცემათა ქართულს

„მწევეს“-ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწევესი» 3 მ. 6 თვით «მწევესი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა » — ,, ორივე გამოცემა »

ბაზუბზე ხელის-მოწყობა შეიძლება დაბა
ეგარიალაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე
ღამაშიდესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მ. ლაზარაშვილთან, ბ. შიო
ქუთუაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ
მაქაროვთან; სხალსენსკოში — ბლაღოჩინ მანა არისტარქ
კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზრთებინ დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ეგარიალაში რედაქ-
ტორის საკუთარ სახლებში.

ბაზემე მტბოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцию газеты и
журнала „МЦКЕМСИ“ « П А С Т Ы Р Ь ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწევესი“-სა, რომელ-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალში მოდაც იბეჭდება
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციადან.

დვ. ღავით ღამბაზიძისაზან.

სამრველო სკოლებში სისწავლო საღმრთო სჯუ-
ლის წიგნის ბეჭდვა უკვე დასრულდა იმ ცვლილებ-
ბით, რომელ ცვლილებასაც უმაღლესი სასულიერო
მთავრობა მიუცილებლად ითხოვს. ვაფრთხილებთ
ყველას, სამტრედიის წიგნის მღალაზიდან არ იყი-
დონ ძველი გამოცემა საღმრთო სჯულისა, რომელ-
ნიც ჩვენ ბოროტმა პირებმა მოგვპარეს და იაფ-
ფასად ჰყიდიან. ეს ნაპარევი საღმრთო სჯულის სა-
ხელმძღვანელო 1892 წელშია გამოცემული და
უკანასკნელ გამოცემას არ ეთანხმება.

დვ. დ ღამბაზიძე.

დ. ქვირილაუი

მასწავლებელი სერგი ჯინჭველაძეილი ოც
იენისიდან ასწავლის ქართულს გავლობას:
წიგნისა, ღაცვისა და მიცვალბულის წესებს
ბ.ბ. ფ. ქარბიძისა და მ. კარბელაძეილის ნო-
ტების საძუალბებით, აგრეთვე ამწადებს მოს-
წავლბეებს, რომელთაც განმეორებითი გამოცდა
აქვთ დანიშნული რუსული-ქართული კალბობაში.

ბინა: ყანჩაველის სახლები, ზედა ხიდის პირ-
და-პირ.

წ ი ნ ა ა რ ს ი:

ოციწილბური განმრციღლბა: წესებდა მღვდელ-
მსახურთა და მღვდივითნთა პენსიებისა და ერთ ღრვობით შემ-
წვობისა.

სალიბაბატორო განმრციღლბა: ქართული საე-
კლესიო კალბობის მოკლე ისტორიული მიმოხილბა. დვ. დ.
ღამბაზიძე. — პირველი დათვლიერება და რვეიზია იმერეთის
ეპარქიის ეკლესიებისა ყოვლად საღვდელლო ღლუნიდის მიერ.
— ჩემი თვ. კალბასვალბი. — ქურნალ-კავთბებიღდან. — სალი ამ-
ბები და შენიშვნები.

სავალბ და მღვნიბაბა ძრისტიანობაკივ სარწ-
მუნობასა და კათილ-წენობაზებ: სიტყვა, თქმული ქვაშ-
ვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირიაკეთა ყოველთა წმი-
დათასა, მღვ. მარკოზ ტყემალაძის მიერ.
— განქალბდანი.

რედაქტორ-გამომცემელი დვ. დ. ღამბაზიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 июня 1902 г. ✦ Цензуръ прот. Е. Е л и с в е
Тიბოგ. რედაქცი ჯური. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.